კურიკულუმი

დაწესებულების დასახელება	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების სტატუსი	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ფაკულტეტის დასახელება	**მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი**
პროგრამის დასახელება	**საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება**
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	**საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხი** **The Degree of Master of Public Administration**
სწავლების ენა	**ქართული ენა** (სასწავლო კურსების ნაწილი და საკითხავი მასალები - ინგლისურად)
პროგრამის ხანგრძლივობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	4 სემესტრი/120 კრედიტი
სწავლის საფასური (წლიური)	2250 ლარი
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა განახლებულია 22.09.2017. განახლებას ექვემდებარება ყოველი სემესტრის დასაწყისში
პროგრამის ხელმძღვანელი	არჩილ აბაშიძე, ასოცირებული პროფესორი ელ.ფოსტა: archil_abashidze@iliauni.edu.ge

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

მაგისტრატურაში მიღება ხდება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის საფუძველზე. გამოცდა (გასაუბრება) ტარდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული წესის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები და სხვა ინფორმაცია თავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რუბრიკაში - "მიღება".

პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ბაკალავრის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

პროგრამაზე მიღების ერთ-ერთი წინაპირობაა **ინგლისური ენის** მინიმუმ საშუალო დონეზე (Intermediate) ცოდნა.

პროგრამის მიზნები

სამაგისტრო პროგრამის მიზანია, მოამზადოს საჯარო პოლიტიკის სფეროში გადაწყვეტილების მიმღებთა და ანალიტიკოსთა ახალი თაობა, რომელსაც შეეძლება, თავი გაართვას საჯარო სივრცესა და მთელ არამომგებიან სექტორში არსებულ კომპლექსურ გამოწვევებს, განსაკუთრებით, პოლიტიკური და ეკონომიკური გარდაქმნების დროს. პროგრამა მაქსიმალურადაა პრაქტიკაზე და კარიერულ პროგრესზე ორიენტირებული და მოწოდებულია სტუდენტისათვის ისეთი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაზიარებაზე, რომლებიც ადეკვატურად პასუხობს თანამედროვე საჯარო სივრცის მოთხოვნებს. საჯარო ადმინისტრირების პროგრამა, კოლუმბიის უნივერსიტეტთან აქტიური თანამშრომლობით, გეგმავს ახალი აკადემიური სივრცის შექმნას, რომელიც გახდება, როგორც საჯარო მოხელეთა და სამოქალაქო ლიდერთა ახალი თაობების მთავარი წყარო, ასევე, სამეცნიერო ბაზა მაღალი ხარისხის კვლევებისა და საჯარო პოლიტიკური დებატებისათვის.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულს ექნება:

- ✓ საჯარო პოლიტიკის თეორიებისა და მიდგომების ღრმა და სისტემური ცოდნა;
- ✓ საჯარო პოლიტიკის კვლევის მეთოდოლოგიის, მონაცემების დამუშავების თანამედროვე რაოდენობრივი მეთოდების სისტემური ცოდნა;

- ✓ ადამიანური რესურსების დარგში ძირითადი თეორიების და მიდგომების ცოდნა;
- ✓ საჯარო სექტორის ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის ცოდნა;
- ✓ ელ. მმართველობის და საინფორმაციო ტექნლოგიების საჯარო ადმინისტრირებაში გამოყენების თანამედროვე ტენდენციების ცოდნა;
- ✓ ეკონომიკის დარგში ძირითადი თეორიების ცოდნა;
- ✓ საჯარო სექტორში ფინანსური მენეჯმენტის ტენდენციების ცოდნა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება

კურსდამთავრებულს ექნება:

- ✓ საჯარო პოლიტიკის სივრცეში აქტუალური პრობლემების შესაბამის კონტექსტში იდენტიფიცირების და თანამედროვე მიგდომების და პრინციპების გათვალისწინებით, მათი დამოუკიდებლად შესწავლის უნარი;
- ✓ ანალიზის შედეგების საფუძველზე პრობლემის გადაჭრის ალტერნატივების შემუშავების, მათი ეფექტურობის პროგნოზირებისა და საუკეთესო ინტერვენციის განსაზღვრის უნარი;
- ✓ გადაწყვეტილების მიღების, ორგანიზაციული პროცესების დაგეგმვისა და განხორციელების უნარი, მათ შორის კრიზისულ/საგანგებო სიტუაციებში; თანამედროვე საჯარო ორგანიზაციის მენეჯერის ფუნქციების შესრულების უნარი, ისეთ საკითხებში როგორიცაა: ბიუჯეტირება, ადამიანური რესურსების მართვა, თანამშრომლების შეფასება და წახალისება და ა.შ.
- ✓ პოლიტიკის დოკუმენტის შედგენის და დაინტერესებული მხარისათვის (საზოგადოება/ხელისუფლება და სხვა) წარდგენის უნარი;
- ✓ მოქალაქესთან ურთიერთობის და მათთვის საჯარო დაწესებულების პოლიტიკის, პოზიციის გაცნობის უნარი; საჭიროებისამებრ, მოქალაქესთან თანამშრომლობის და პროცესში ჩართვის ხელშეწყობის უნარი.

დასკვნის უნარი

კურსდამთავრებულს ექნება:

- ✓ კვლევის შედეგების საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი;
- ✓ ლოგიკური აზროვნების, მონაცემების/ინფორმაციის ანალიზის და სინთეზის უნარი;
- ✓ საექსპერტო დასკვნის უნარი;

კომუნიკაციის უნარი

კურსდამთავრებულს ექნება:

- ✓ მშობლიურ და ინგლისურ ენაზე სამეცნიერო კომუნიკაციის უნარი;
- ✓ თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი დარგობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით;
- ✓ სამეცნიერო მოხსენებების და პრეზენტაციების მომზადების უნარი, როგორც სპეციალისტებისთვის, ისევე ფართო აუდიტორიისათვის;
- ✓ ჯგუფში მუშაობის უნარი;
- ✓ ეფექტური ლიდერობის უნარი.

სწავლის უნარი

კურსდამთავრებულს ექნება:

- ✓ სწავლის საჭიროებების დამოუკიდებლად განსაზღვრის, სწავლის პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების უნარი;
- ✓ ადეკვატური სასწავლო/ინფორმაციული რესურსების სწორად მოძიებისა და ეფექტიანი გამოყენების უნარი.

ღირებულებები

კურსდამთავრებულს ექნება:

- ✓ სამეცნიერო კვლევის ეთიკის ცოდნა;
- ✓ კოლეგების აზრის პატივისცემის უნარი;
- ✓ გაცნობიერებული მოქალაქესთან ურთიერთობის და თანამშროლობის მნიშვნელობა;

- ✓ საჯარო სექტორში ეთიკური სტანდარტის ცოდნა.

დასაქმების სფეროები

პროგრამის დამთავრების შემდეგ, საჯარო მმართველობის მაგისტრს შეუძლია, დასაქმდეს საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯერულ თანამდებობებზე, როგორც ადმინისტრატორი, მრჩეველი, ან ანალიტიკოსი, სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებში, მათ შორის ეროვნულ, ტრანსნაციონალურ და საერთაშორისო ორგანიზაციებში. პროგრამიდან მიღებული ცოდნა და გამოცდილება, საშუალებას აძლევს მაგისტრს, შექმნას და მართოს პროექტები, ჩაატაროს კვლევები, აიღოს ინიციატივა საჯარო პოლიტიკის სხვადასხვა დარგში, გავლენა მოახდინოს კონკრეტული ინსტიტუტების საქმიანობაზე, გაუძღვეს რეფორმებს და იმუშაოს საზოგადოების წინაშე არსებული გამოწვევების აღმოფხვრაზე, და ამით მიაღწიოს კარიერული/პროფესიული განვითარების მაღალ საფეხურებს, როგორც საჯარო, ისე არასამთავრობო და კერძო სექტორებში.

საჯარო მმართველობის მაგისტრის ხარისხი საშუალებას აძლევს სტუდენტს, სწავლა განაგრძოს დოქტორანტურაში.

სწავლების მეთოდები

სასწავლო პროგრამაში გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები:

- ვერბალური და წერითი მეთოდი;
- დემონსტრირების მეთოდი;
- პრაქტიკული მეთოდი;
- გონებრივი იერიში;
- როლური და სიტუაციური თამაშები, სიმულაცია;
- დისკუსია/დებატები;
- რეფლექსია;
- ინდივიდუალური და ჯგუფური პროექტები;
- შემთხვევის ანალიზი (case study).

სასწავლო პროგრამის აღწერა

"საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამის წარმატებით დასრულებისთვის და საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტს ესაჭიროება პროგრამის სასწავლო კურსებიდან გაიაროს:

1. პროგრამის ძირითადი მოდულის კურსები - 54 კრედიტი;
2. დარგობრივი კურსების მოდულის კურსები - მინიმუმ 24 კრედიტი;
3. თავისუფალი არჩევის წესით დააგროვოს მაქსიმუმ 18 კრედიტი, როგორც "საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების" ზოგადი, ან დარგობრივი კურსების მოდულიდან, ასევე სამაგისტრო საფეხურის ნებისმიერი სხვა პროგრამის სასწავლო კურსებიდან;
4. სამაგისტრო ნაშრომის მოდული - 24 კრედიტი.

შეფასების წესი

შეფასება მიმდინარეობს 100 ქულიანი სისტემით.

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი წარმოდგენილია თითოეული საგნის სილაბუსში.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები და რესურსები

სწავლა ხორციელდება მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ბაზაზე. აკადემიური პროგრამის შინაარსისა და მისი თითოეული კომპონენტის ხარისხს, პროგრამის ამუშავების საწყის ეტაპზე უზრუნველყოფდა თანამშრომლობის მემორანდუმი **კოლუმბიის უნივერსიტეტის (ნიუ-იორკი, აშშ) საერთაშორისო და საჯარო საქმეთა სკოლასთან (SIPA)** და **აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტთან (EWMI)**, რომელიც გაფორმებულია **„საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროგრამის (G-PAC)“** ფარგლებში.

სამაგისტრო პროგრამას გამოყოფილი აქვს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო სივრცე, კომპიუტერული ლაბორატორია და აქვს წვდომა ბიბლიოთეკისა და კვლევითი ინსტიტუტების სრულ საინფორმაციო რესურსებზე.

#	კურსები	სტატუსი (სავ./არჩ.)	ლექტორი	წინაპირობა	კრედიტები	საკონტ. სთ	სემესტრები	
							შემ.	გაზ.
ძირითადი მოდული - 54 კრედიტი								
1.	მიკროეკონომიკა	სავალდებულო	ერგეშიძე ალექსანდრე		6	32	✓	
2.	სტატისტიკა და მონაცემთა ანალიზი	სავალდებულო	გაგნიძე არჩილ		6	30	✓	
3.	საჯარო ადმინისტრირება	სავალდებულო	აბაშიძე არჩილ		6	30	✓	
4.	მაკროეკონომიკა	სავალდებულო	მხატვრიშვილი შალვა	მიკროეკონომიკა	6	32		✓
5.	საჯარო პოლიტიკის ანალიზი	სავალდებულო	ტანგიაშვილი ნოდარ		6	32		✓
6.	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	სავალდებულო	ბერუაშვილი ნინო		6	32		✓
7.	ადმინისტრაციული სამართალი	სავალდებულო	ურიადმყოფელი კახაბერ		6	32	✓	
8.	ფინანსური მენეჯმენტი (MPA)	სავალდებულო	ყაველაშვილი ნიკოლოზ		6	32	✓	
9.	ინოვაცია და ტექნოლოგია	სავალდებულო	ლაბაძე მერაბ		6	30	✓	
დარგობრივი კურსების მოდული - მინიმუმ 24 კრედიტი								
10.	არამომგებიანი სფეროს მენეჯმენტი	სავალდებულო -არჩევითი	ტყეშელაშვილი თინათინ		6	30		✓
11.	სოციალური პოლიტიკა	სავალდებულო -არჩევითი	ამბრეჟევსკა-ხეჩინაშვილი მონიკა		6	30	✓	
12.	სტრატეგიული მენეჯმენტი	სავალდებულო -არჩევითი	პატარაია ლარისა		6	32	✓	
13.	კონსტიტუციური სამართალი	სავალდებულო -არჩევითი	ჯიქია მარიამ		6	32	✓	
14.	აკადემიური ინგლისური ენა (ENG)	სავალდებულო -არჩევითი	როგავა მაია		6	32	✓	
15.	პროექტის მენეჯმენტი საჯარო სექტორში	სავალდებულო -არჩევითი	ხუციშვილი თამთა		6	32		✓

16.	მუნიციპალური სამართალი	სავალდებულო -არჩევითი	ეგაძე რევაზ		6	32		✓
17.	ჯანდაცვის პოლიტიკა	სავალდებულო -არჩევითი	ვერულავა თენგიზ		6	32		✓
18.	პოლიტიკის დიფუზია და ტრანსფერი: თეორია და პრაქტიკა	სავალდებულო -არჩევითი	ჯიბლაძე ელენე		6	32	✓	
19.	საჯარო ადმინისტრირების პრაქტიკა	სავალდებულო -არჩევითი			6	30	✓	✓

ზოგადი მოდული - მაქსიმუმ 18 კრედიტი

ამ მოდულში სტუდენტი როგორც "საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების", ასევე უნივერსიტეტის ნებისმიერი სამაგისტრო პროგრამიდან, თავისუფალი არჩევის წესით ირჩევს მაქსიმუმ 18 კრედიტის ოდენობის სასწავლო კურსებს.

საერთაშორისო და უსაფრთხოების პოლიტიკა

20.	საერთაშორისო ურთიერთობების თეორია	არჩევითი	გვალია გიორგი		6	32		✓
21.	თანამედროვე ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა და სისტემა: კულტურულ-ინსტიტუციონალური ჩარჩო	არჩევითი	დარჩიაშვილი დავით		6	32	✓	
22.	ევროპული სამეზობლო პოლიტიკა	არჩევითი	ბერუჩაშვილი თამარ		6	32	✓	
23.	დემოკრატია და დემოკრატიზაცია	არჩევითი	ნოდია გია		6	32		✓
24.	საჯარო კომუნიკაციის სახეები	არჩევითი	ითონიშვილი მანანა		6	32		✓

განათლების პოლიტიკა

25.	განათლების სისტემა და სტრუქტურა: შედარებითი ანალიზი	არჩევითი	ბრეგვაძე თამარი		6	32	✓	
26.	ფინანსები და სამართალი განათლებაში (ზოგადი განათლება)	არჩევითი	შუკაკიძე ბერიკა		6	32		✓
27.	განათლების პოლიტიკა	არჩევითი	გახელაძე გიორგი		6	32		✓
28.	მონიტორინგი და შეფასება განათლების სისტემაში	არჩევითი	აბულაძე ირინა		6	32		✓
29.	უმაღლესი განათლების პოლიტიკა (ENG)	არჩევითი	აბულაძე ირინა		6	32		✓

30.	განათლება მრავალფეროვან საზოგადოებაში	არჩევითი	გახელაძე გიორგი		6	32	✓	
31.	განათლების სოციალური საფუძვლები	არჩევითი	მჟავანაძე ნათია		6	32		✓

სამაგისტრო ნაშრომის მოდული - 24 კრედიტი

სწავლის შედეგების რუკა

სასწავლო კურსები / მოდულები	**კომპეტენციების ჩამონათვალი**					
	ცოდნა და გაცნობიერება	**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**	**დასკვნის უნარი**	**კომუნიკაციის უნარი**	**სწავლის უნარი**	**ღირებულებები**
სტატისტიკა და მონაცემთა ანალიზი	X	X	X	X	X	X
მიკროეკონომიკა	X	X	X	X	X	X
საჯარო ადმინისტრირება	X	X	X	X	X	X
მაკროეკონომიკა	X	X	X	X	X	X
საჯარო პოლიტიკის ანალიზი	X	X	X	X	X	X
არამომგებიანი სფეროს მენეჯმენტი	X	X	X	X	X	X
ადმინისტრაციული სამართალი	X	X	X	X	X	X
ინოვაცია და ტექნოლოგია	X	X	X	X	X	X
ფინანსური მენეჯმენტი (MPA)	X	X	X	X	X	X
ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	X	X	X	X	X	X
სტრატეგიული მენეჯმენტი	X	X	X	X	X	X
სოციალური პოლიტიკა	X	X	X	X	X	X
კონსტიტუციური სამართალი	X	X	X	X	X	X
აკადემიური ინგლისური ენა	X	X	X	X	X	X
პროექტის მენეჯმენტი საჯარო სექტორში	X	X	X	X	X	X
მუნიციპალური სამართალი	X		X	X	X	X
ჯანდაცვის პოლიტიკა	X	X	X	X	X	X
პოლიტიკის დიფუზია და ტრანსფერი: თეორია და პრაქტიკა	X		X	X	X	X
საერთაშორისო ურთიერთობების თეორია	X	X	X	X	X	X
თანამედროვე ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა და სისტემა: კულტურულ-ინსტიტუციონალური ჩარჩო	X	X	X	X		X
ევროპული სამეზობლო პოლიტიკა	X	X	X	X	X	X
დემოკრატია და დემოკრატიზაცია	X	X	X	X	X	X
საჯარო კომუნიკაციის სახეები	X	X	X	X	X	X
განათლების სისტემა და სტრუქტურა: შედარებითი ანალიზი	X	X	X	X	X	X
ფინანსები და სამართალი განათლებაში (ზოგადი განათლება)	X	X	X	X	X	X
განათლების პოლიტიკა	X	X	X	X	X	X
მონიტორინგი და შეფასება განათლების სისტემაში	X	X	X	X	X	X

უმაღლესი განათლების პოლიტიკა (ENG)	X	X	X	X	X	X
განათლება მრავალფეროვან საზოგადოებაში	X	X	X	X	X	X
განათლების სოციალური საფუძვლები	X	X	X	X	X	X
საჯარო ადმინისტრირების პრაქტიკა	X	X	X	X	X	X
სამაგისტრო ნაშრომი - საჯარო პოლიტიკის პროექტი	X	X	X	X	X	X